თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (uni.tsu.ge), რომელიც მაგისტრანტს საშუალებას აძლევს, თავისი „პროფილის“ მეშვეობით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით, გაეცნოს მის მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს, აგრეთვე მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ზედამხედველობით მოქმედებს **სტუდენტთა მომსახურების ცენტრი,** რომლის ფუნქციაა სტუდენტისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა, მისთვის სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში დახმარება; მისთვის კონსულტაციის გაწევა; სტუდენტთათვის სასწავლო პროცესში კრედიტების აღებასთან, სასწავლო კურსზე რეგისტრაციასთან, ცხრილთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების მოგვარება ფაკულტეტისა და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით.

მაგისტრანტს მისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად ქმედით დახმარებას უწევს სპეციალური ფეისბუქ ჯგუფი „თსუ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი / TSU FACULTY OF HUMANITIES“, სადაც განთავსებულ სტუდენტთა შენიშვნებს და სურვილებს, კომენტარებს მუდმივად აკონტროლებს და მათზე რეაგირებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, ის ჯგუფში შემოსულ ინფორმაციას აცნობს ასევე პროგრამის ხელმძღვანელს რეაგირების მიზნით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და თსუ აკადემიურ პერსონალს ადმინისტრაციის მიერ გახსნილი აქვს საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა. სტუდენტს სასწავლო პროცესის მანძილზე ელექტრონული საფოსტო მიმოწერის გზით საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს მისი ნებისმიერი ლექტორისაგან - ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია იმ ლექტორთა საკონტაქტო ინფორმაცია (საკონტაქტო ტელეფონების ჩათვლით), რომლებიც უძღვებიან ამა თუ იმ საგნის სალექციო კურსსა და სამუშაო ჯგუფებს თუ პრაქტიკული მეცადინეობებს.

სტუდენტს შეუძლია აგრეთვე თავისი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაციის, კონსულტაციის და დახმარების მიღება ფაკულტეტის

ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებიდან და ადმინისტრაციული პერსონალისგან: დეკანი, დეკანის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ.